5-6 ივლისის მოვლენების სამართლებრივი შეფასება

სოციალური
სამართლიანობის
ცენტრი

5 ივლისის მოვლენების სამართლებრივი შეფასება

(პირველადი ანალიზი)

სოციალური სამართიანობის ცენტრი

თბილისი, 2021

ავტორები: მარიამ პატარიძე, თორნიკე გერლიანი

ყდის დიზაინი: სალომე ლაცაბიძე

ფოტოს ავტორი: სოფო აფციაური

აკრძალულია აქ მოყვანილი მასალების გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება კომერციული მიზნით, ორგანიზაციის წერილობითი ნებართვის გარეშე.

სოციალური სამართლიანობის ცენტრი

მისამართი: ი. აბაშიძის 12ბ, თბილისი, საქართველო

ტელ.: +995 032 2 23 37 06

www.socialjustice.org.ge

info@socialjustice.org.ge

https://www.facebook.com/socialjustice.org.ge

პუბლიკაცია მომზადდა ღია საზოგადოების ფონდების მხარდაჭერით. მასალაში გამოთქმული მოსაზრება შესაძლოა არ გამოხატავდეს ღია საზოგადოების ფონდის პოზიციას. შესაბამისად, ფონდი არ არის პასუხისმგებელი მასალის შინაარსზე.

შესავალი

2021 წლის 5 ივლისს, ულტრაკონსერვატორულმა ჯგუფებმა, წინასწარ ორგანიზებული ძალადობრივი ქმედებებით, რასაც თან ახლდა სახელმწიფოს აშკარა უმოქმედობა, ხელი შეუშალეს თბილისში, რუსთაველის გამზირზე „ღირსების მარშის“ გამართვას, რომლის ორგანიზატორიც იყო „თბილისი პრაიდი“ და სხვა სამოქალაქო/აქტივისტური ჯგუფები.

აღნიშნული მოვლენები იყო ულტრაკონსერვატორული ჯგუფების მხრიდან ძალადობის წახალისების, საზოგადოებრივი წესრიგის მოშლის და სახელმწიფოს მხრიდან საკუთარი ბაზისური ფუნქციების ვერგანხორციელების ერთგვარი კულმინაცია. სამწუხაროდ, წარსულში ლგბტქ+ პირების მიმართ სხვადასხვა სოციალური, რელიგიური თუ პოლიტიკური ჯგუფის მხრიდან გამოვლენილი აგრესია და ფიზიკური ძალადობა, არ აღმოჩნდა ხელისუფლებისთვის საკმარისი, გადაედგა უფრო ქმედითი ნაბიჯები მათი უფლებების დასაცავად.

„პრაიდის“ და „ღირსების მარშის“ მიმართ საზოგადოებაში არსებობს სხვადასხვა სიმძაფრის კრიტიკა, თუმცა ამ მოვლენებმა კიდევ ერთხელ გვაჩვენა, თუ რამდენად დაუცველები არიან საქართველოში ლგბტქ+ ადამიანები. 5-6 ივლისის მოვლენებმა კიდევ ერთხელ გამოაჩინა, რომ სექსუალური უმცირესობების კეთილდღეობას და მშვიდობას საფრთხეს უქმნის არა მხოლოდ ცალკეული რადიკალური ჯგუფები, არამედ სახელმწიფოს არსებული პოლიტიკა. 5 ივლისს, სიძულვილის ჯგუფების ძალადობრივ ქმედებებზე არანაკლებ საშიში იყო ძალადობის ეპიცენტრში განზე მდგომი პოლიცია და პოლიტიკური ლიდერების ჰომოფობიური და პოპულისტური განცხადებები.

ამ მოვლენებმა ასევე აჩვენა, რომ სახელმწიფოს მსგავსი არაეფექტიანობა საფრთხეს უქმნის არა რომელიმე კონკრეტულ ჯგუფს, არამედ მთლიანად საზოგადოებრივ წესრიგს და მშვიდობას. 5 ივლისის ძალადობის პირდაპირი ადრესატები ასევე იყვნენ მედია-საშუალებები და ჟურნალისტები, რომელთა მიმართ ძალადობას ასევე ჰქონდა წინასწარ ორგანიზებული ხასიათი. სამწუხაროდ, პოლიციამ ვერც ჟურნალისტების უსაფრთხოება ვერ უზრუნველყო. შედეგად, 5 ივლისს ათეულობით ჟურნალისტმა მიიღო სხვადასხვა სიმძიმის ფიზიკური დაზიანება.

5 ივლისს პოლიციის უმოქმედობა არ უნდა აიხსნას საფრთხეების არასათანადოდ შეფასებით, ან მოუმზადებლობით. ამ მოვლენებში ნათლად ჩანდა, რომ ხელისუფლება და სამართალდამცავი ორგანოები იმთავითვე არ აპირებდნენ „პრაიდისთვის“ მსვლელობის ჩატარების შესაძლებლობის მიცემას. ეს განსაკუთრებით ცხადი გახდა მას შემდეგ, როდესაც ღია ძალადობრივი ინციდენტების შემდეგაც კი, სახელმწიფოს არ აღმოაჩნდა საკმარისი პოლიტიკური ნება, გაეტარებინა სამართლებრივი ზომები უშუალოდ ძალადობის ორგანიზატორების მიმართ.

5 ივლისის მოვლენებიდან ორი თვის თავზე, კვლავაც არ არიან პასუხისგებაში მიცემული ძალადობის ორგანიზატორები, აგრეთვე გამოძიება არ არის დაწყებული მშვიდობიანი შეკრებისათვის ხელის შეშლის ფაქტზე. მიუხედავად იმისა, რომ ადმინისტრაციული და სისხლისსამართალწარმოება უკავშირდება ათეულობით საპროცესო/საგამოძიებო

ღონისძიებას, რასაც შესაბამისი დრო სჭირდება, სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან კონკრეტული მიმართულებით გამოძიების არდაწყება, აგრეთვე ძალადობის ორგანიზების მიმართ არასაკმარისი ყურადღება უკვე აჩვენებს, რომ ზოგადად არ არსებობს ამ ინციდენტების სრულყოფილად გამოძიების ნება. აღნიშნულ მოსაზრებას კიდევ უფრო ამყარებს წარსული გამოცდილება, როცა ხელისუფლება სხვადასხვა მიზნით ახდენდა აღნიშნული ძალადობრივი და ულტრაკონსერვატორული ჯგუფების ინსტრუმენტალიზებას.

წარმოდგენილ დოკუმენტში გაანალიზებულია 5 ივლისის ძალადობრივი ინციდენტები, როგორ ვითარდებოდა ამ დღის მოვლენები და რა განცხადებები უძღოდა მათ წინ. აგრეთვე, საერთაშორისო სტანდარტებისა და გამოცდილების შუქზე, სამართლებრივად არის გაანალიზებული ულტრაკონსერვატორული ჯგუფების მოქმედებები და ის, თუ რამდენად შეიძლება ჩაითვალოს მათი მოქმედება მშვიდობიან კონტრ-დემონსტრაციად. დოკუმენტში კრიტიკულად არის შეფასებული სახელმწიფოს რეაგირება ძალადობრივ ინციდენტებზე, თუმცა დაზუსტებისთვის უნდა აღინიშნოს, რომ ამ ფაქტებზე გამოძიება კვლავ მიმდინარეობს.

5 ივლისის მოვლენებიდან ორი თვის თავზე, ნათელია, რომ:

- სახელმწიფოს არ გააჩნია ძალადობისა და ჰომოფობიის პრევენციის ეფექტიანი და ინკლუზიური პოლიტიკა და პრაქტიკა. აღნიშნულ პრობლემებს სახელმწიფო უყურებს მხოლოდ საპოლიციო პრიზმიდან, რაც უკიდურესად არაეფექტიანი და ხშირ შემთხვევაში, კონტრპროდუქტიულია;
- 5 ივლისს „ღირსების მარშის“ წინააღმდეგ მობილიზებული ჯგუფების ლიდერების მიზანს წარმოადგენდა არა მშვიდობიანი შეკრება, არამედ ძალადობის გზით „ღირსების მარშის“ ჩატარებისთვის ხელის შეშლა, რაც იმთავითვე უნდა გამხდარიყო კონტრ-დემონსტრაციის დაგეგმილი ფორმითა და შინაარსით აკრძალვის საფუძველი;
- 5 ივლისს, პოლიციამ არ უზრუნველყო მშვიდობიანი მოქალაქეების შეკრებისა და გამოხატვის უფლება, აგრეთვე მედიის უსაფთხოება;
- სახელმწიფოს რეაგირება 5 ივლისის მოვლენებზე არაერთი მიმართულებით აჩენს კითხვებს, უპირველეს ყოვლისა კი პრობლემურია ძალადობრივი ინციდენტების უშუალო ორგანიზატორების დაუსჯელობა;
- უკიდურესად არაეფექტიანი აღმოჩნდა საქართველოს პარლამენტიც, რომელმაც არ გამოიყენა არსებული მექანიზმები აღმასრულებელი ხელისუფლების, კონკრეტულად კი პოლიციის მოქმედებების სიღრმისეული შეფასებისთვის;

1. 5 ივლისთან დაკავშირებული მოვლენების ქრონოლოგია

2021 წლის 4 ივნისს, ლგბტქ+ თემის უფლებადამცველმა ორგანიზაციამ ,,თბილისი პრაიდმა" 1-5 ივლისის ჩათვლით „პრაიდის კვირეულის" ჩატარება დააანონსა. კვირეული 1-ელ ივლისს დოკუმენტური ფილმის, „ღირსების მარშის" ჩვენებით გაიხსნა, ღონისძიების დასკვნით ეტაპი კი 5 ივლისს „ღირსების მარშის" ჩატარებით იგეგმებოდა, რომლის ფარგლებშიც ლგბტ+ თემის ნაწილი და მათი მხარდამჭერები თბილისის ცენტრში, რუსთაველის გამზირზე უნდა შეკრებილიყვნენ. „პრაიდის კვირეულის" დაანონსების შემდეგ, ულტრამემარჯვენე ჯგუფებმა და მათმა ლიდერებმა განაცხადეს, რომ „ღირსების მარშის" გამართვას ხელს სხვადასხვა ფორმით შეუშლიდნენ.[1]

ულტრაკონსერვატიული და ძალადობრივი ჯგუფის და ახლა უკვე პოლიტიკური პარტიის „ერის" ლიდერმა ლევან ვასაძემ ხელისუფლებას მსვლელობის აკრძალვისთვის 10 დღიანი ვადა დაუწესა.[2] ვადის გასვლის შემდეგ კი - 27 ივნისს, ,,ღირსების მარშის" ჩაშლით ღიად იმუქრებოდა.[3] 24 ივნისს, ,,ღირსების მსვლელობის" ჩაშლის მოტივით რუსთაველის გამზირის დაკავებას და გაკონტროლებას აანონსებდა ექსტრემისტული მედია ორგანიზაცია ალტ-ინფოს ლიდერი ზურა მახარაძეც. ზურა მახარაძის მკაფიო გზავნილს არაერთი სხვა დაჯგუფებაც[4] შეუერთდა.[5]

,,პრაიდის კვირეულის" ჩატარებასთან დაკავშირებით, 5 ივლისს დილით განცხადება გააკეთა საქართველოს პრემიერ მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა და აღნიშნა[6] რომ მოსახლეობის 95% წინააღმდეგია პროპაგანდისტული ,,ღირსების მარშის" და მისი ჩატარება „მიზანშეუწონელია", მარშის უკან კი „რადიკალური ოპოზიცია" დგას. ღარიბაშვილის განცხადებას წინ მმართველი პარტიის ლიდერის, ირაკლის კობახიძის შეფასება უძღოდა, რომელმაც „პრაიდის კვირეულის" ორგანიზატორები საჯაროდ დაადანაშაულა და ისინი უპასუხისმგებლოებად მოიხსენია.[7] მსგავსი შინაარსის განცხადება გაავრცელა 29 ივნისს საქართველოს საპატრიარქომაც, როდესაც „პრაიდის" ორგანიზატორები „ადამიანის

---

[1] პრაიდი იწყება - ვინ იცავს და ვინ ეწინააღმდეგება ღირსების მარშს, 30.06.2021, ხელმისაწვდომია: https://www.radiotavisupleba.ge/a/31334344.html, წვდომის თარიღი: 03.09.2021.

[2] ლევან ვასაძე ხელისუფლებას "პრაიდის" ღონისძიებების აკრძალვას სთხოვს და 10 დღიან ვადას აძლევს, 15.06.2021, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3yvZ0b7, წვდომის თარიღი: 03.09.2021.

[3] ლევან ვასაძე იმუქრება, რომ ჩაშლის ღირსების მარშს, 27.06.2021, ხელმისაწვდომია: https://www.radiotavisupleba.ge/a/31328205.html, წვდომის თარიღი: 03.09.2021.

[4] „ღირსების მარშის" ჩასაშლელად მობილიზებას აცხადებენ - "ქართული არასამთავრობო ორგანიზაცია მამულიშვილები", "ჩოხოსანთა საზოგადოება", მოძრაობა "ეროვნული მასმედიისთვის" პედაგოგთა ასოციაცია „განათლება და ზნეობა " ბიზნესასოციაცია "სოლიდარობა" საზოგადოება "დავითიანი", "ალტინფო", საზოგადოებრივი მოძრაობა "ერი", "ქართული იდეა" , "ქართული მისია" და სხვები.

[5] "ღირსების მარშის" მოწინააღმდგეები რუსთაველის გამზირის გაკონტროლებას აპირებენ, 24.06.2021, ხელმისაწვდომია: https://www.radiotavisupleba.ge/a/31324390.html, წვდომის თარიღი: 03.09.2021.

[6] ირაკლი ღარიბაშვილი: „ღირსების მარშის" ჩატარება „მიზანშეუწონელია", მის უკან „რადიკალური ოპოზიცია" დგას, 05.07.2021, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/430534, წვდომის თარიღი: 03.09.2021.

[7] ირაკლი კობახიძის თქმით, „პრაიდის კვირეულის" ჩატარება უპასუხისმგებლობაა 18.06.2021, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/428210, წვდომის თარიღი: 03.09.2021.

უფლებათა დაცვის საფარქვეშ არატრადიციული ცხოვრების წესის პროპაგანდაში“ დაადანაშაულა და განაცხადა,[8] რომ ღონისძიება „შეიცავს პროვოცირების ნიშნებს, კონფლიქტში შედის საზოგადოებაში აღიარებულ ზნეობრივ ნორმებთან და მიზნად ისახავს მძიმე ცოდვის ლეგალიზებას“. ამასთან, 5 ივლისს, შინაგან საქმეთა სამინისტრომ „თბილისი პრაიდის“ მონაწილეებს მსვლელობის ღია სივრცეში გამართვაზე უარის თქმისკენ მოუწოდა, რადგან მოწინააღმდეგე ჯგუფები იგივე სივრცეში აპირებდნენ მასშტაბური კონტრ-აქციის გამართვას.[9]

უშუალოდ 5 ივლისს კი მოვლენები შემდეგი ქრონოლოგიით განვითარდა: ,,ღირსების მარშის" მოწინააღმდეგე ძალადობრივი, ჰომოფობიური ჯგუფების ორგანიზატორებმა რუსთაველის გამზირზე კონტრაქცია გამართეს, რომლის მიზანიც ღირსების მარშის მსვლელობის ჩაშლა იყო. პირდაპირ ეთერში ვრცელდებოდა სიძულვილის ჯგუფების ძალადობის შემცველი მუქარა და ფიზიკური ძალადობის ინციდენტები კონტრაქციის მონაწილეთა მიერ დაკავებულ ლოკაციებზე. აშკარა იყო, რომ ,,ღირსების მარშის" შეკრებისა და მსვლელობის ადგილებზე მცირე რაოდენობით საპოლიციო ძალების მობილიზება ვერ უზრუნველყოფდა კონტრაქციის მონაწილეთა მხრიდან ძალადობის შეკავებას. შესაბამისად, ხელისუფლების უმოქმედობის შედეგად, ,,თბილისი პრაიდის" ორგანიზატორებმა რუსთაველის გამზირზე შეკრებილი ძალადობრივი ჯგუფებისგან მოსალოდნელი საფრთხის საფუძვლით ,,ღირსების მარშის" მსვლელობა გააუქმეს.[10]

1.1. ძალადობრივი მოწოდებები

,,პრაიდის კვირეულის" დაანონსების შემდეგ, ძალადობისკენ მოწოდებებს აკეთებდა „ალტ-ინფოს“ ერთ-ერთი წამყვანი, ზურა მახარაძე, რომლის ადრესატებიც ლგბტ+ პირები, მედია და დასავლელი პარტნიორები იყვნენ: „... 5 ივლისს წყდება, ამ ქვეყანაში ვისი წესები მოქმედებს. მე შემიძლია და ვაპირებ საკუთარი ღირებულებების მათ შორის ძალით დაცვას. თუ ჩემი შვილი ამათი შექმნილი ჯოჯოხეთის პირობებში უნდა გაიზარდოს, მე მზად ვარ, **ძალით ვიმოქმედო ამის წინააღმდეგ**.“ ამ მიმართვის[11] შესახებ ინფორმირებული იყო შინაგან საქმეთა სამინისტროც, ვინაიდან აღნიშნული კადრები სხვადასხვა მედია საშუალების მიერ საჯაროდ გავრცელდა.

მუქარის შემცველ მოწოდებებს ავრცელებდა გურამ ფალავანდიშვილი 4 ივლისს, რომელმაც ღირსების მარშის ჩაშლის მიზნით, თანამოაზრეებთან ერთად, რუსთაველის მეტროს

---

[8] საქართველოს საპატრიარქო „პრაიდის კვირეულის“ წინააღმდეგ საუბრობს 30.06.2021, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/429949, წვდომის თარიღი: 03.09.2021.

[9] შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადება 05.07.2021, ხელმისაწვდომია: https://police.ge/ge/shinagan saqmeta-saministros gantskhadeba/14761, წვდომის თარიღი: 03.09.2021.

[10] პრაიდი: ღირსების მარში #სოლიდარობისთვის დღეს არ შედგება, 05.07.2021, ხელმისაწვდომია: https://formulanews.ge/News/53042

[11] „სირცხვილიას“ ოფისსა და ლექსო ლაშქარავაზე თავდასხმის ქრონოლოგია, 17.07.2021, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3DhG3MV, წვდომის თარიღი: 03.09.2021.

მიმდებარე ტერიტორია დაიკავა და კარვები გაშალა.[12] იგი ღირსების მარშის მონაწილეებს მოუწოდებდა, არ გასულიყვნენ რუსთაველზე. ამავე ლოკაციაზე, 5 ივლისს, დილიდან შეკრება დაიწყეს „თბილისი პრაიდის" სხვა მოწინააღმდეგეებმაც, მათ შორის სასულიერო პირებმა. ფალავანდიშვილი არ გამორიცხავდა არც პოლიციასთან შეტაკებას და ფაქტობრივად აანონსებდა ძალადობრივ ქმედებებს იმ შემთხვევაში, თუ პოლიცია არ შეუშლიდა ხელს მარშის გამართვას: ვინაიდან *„ძალადობა არის ლგბტ სიბილწის პროპაგანდა. წესით, ამ ძალადობრივ აქტს უნდა დაუპირისპირდეს პოლიციის ადეკვატური ძალა და ისინი განარიდოს, ჩამოართვას პლაკატები და გაიყვანოს ტერიტორიიდან, მაგრამ რადგან პოლიცია ამას ვერ გააკეთებს, რადგან პოლიციას მიღებული აქვს კანონი, რომ ლგბტ ცხოვრების წესი არის ნორმა, ამდენი ხალხი ჩამოდის იმიტომ, რომ ფაქტობრივად პოლიცია ჩაანაცვლონ".*[13]

საქართველოს საპატრიარქომ ,,ღირსების მარშის" გამართვის დღეს (5 ივლისს) პარაკლისის ჩატარების მიზნით, მოსახლეობას ქაშუეთთან შეკრებისკენ მოუწოდა.[14] შედეგად, რუსთაველის მეტროსთან თავმოყრის პარალელურად, 5 ივლისს დილიდან კონტრ დემონსტრანტები ქაშუეთის ტაძრის უკანაც შეიკრიბნენ, შემდეგ კი პარლამენტის მიმართულებით გადაინაცვლეს.

5 ივლისს, დაახლოებით 12 საათისთვის უკვე პარლამენტის წინ შეკრებილ კონტრაქციის მონაწილეებს ერთ-ერთმა ორგანიზატორმა, ალტ-ინფოს დამფუძნებელმა კონსტანტინე მორგოშიამ ინფორმაცია მიაწოდა,[15] რომ „სირცხვილიას" ოფისში „თბილისი პრაიდის" წევრებიც იმყოფებოდნენ. შემდეგ ოფისის მისამართი დაასახელა და შეკრებილებს საჯაროდ მოუწოდა, რომ 500-600 ადამიანს გადაენაცვლა ორგანიზაციის ოფისთან. დაახლოებით 9-10 წუთში მორგოშია და აქციის სხვა მონაწილეები უკვე ,,სირცხვილიას" ოფისთან გადავიდნენ. დაახლოებით 12:08 საათზე „სირცხვილიას" ოფისის სადარბაზოდან „TV პირველმა" პირდაპირი ეთერი ჩართო. კადრებში ჩანს, როგორ ადიან ძალადობრივი ჯგუფის წევრები კიბეებზე და თავს ესხმიან მათ გადამღებ ჯგუფს - „TV პირველის" ოპერატორ ლექსო ლაშქარავასა და ჟურნალისტს მირანდა ბაღათურიას. მედიით გავრცელებულ კადრებში ასევე ჩანს „სირცხვილიას" ოფისთან მობილიზებული პოლიციის მცირე რაოდენობა. ასევე ის, თუ რა ტიპის კომუნიკაცია ჰქონდათ სამართალდამცველებსა და ძალადობრივი ჯგუფების ორგანიზატორებს ერთმანეთთან.

---

[12] „პრაიდის" მოწინააღმდეგეებმა კარვები გაშალეს, 04.07.2021, ხელმისაწვდომია: https://www.radiotavisupleba.ge/a/31340543.html, წვდომის თარიღი: 03.09.2021.

[13] „თბილისი პრაიდის" მოწინააღმდეგეები რუსთაველის მეტროს მიმდებარე ტერიტორიაზე იკრიბებიან, მათ შორის არიან სასულიერო პირები, 05. 07.2021, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2WoRMbS, წვდომის თარიღი: 03.09.2021.

[14] საპატრიარქო პრაიდზე: შევიკრიბოთ, აღვავლინოთ პარაკლისი, ნახოს მსოფლიომ, რომ ღირსებას ვიცავთ, 03.07.2021, ხელმისაწვდომია: https://tabula.ge/ge/news/669549-sapatriarko-praidze-shevikribot-aghvavlinot, წვდომის თარიღი: 03.09.2021.

[15] „სირცხვილიას" ოფისსა და ლექსო ლაშქარავაზე თავდასხმის ქრონოლოგია, 17.07.2021, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3DhG3MV, წვდომის თარიღი: 03.09.2021.

5 ივლისს, „თბილისი პრაიდის“ საწინააღმდეგოდ გამართულ ძალადობრივ აქციაზე მოქალაქეებს ტრიბუნიდან ძალადობისკენ შემდეგი სიტყვებით მოუწოდა დეკანოზმა სპირიდონ ცქიფურიშვილმა:[16] „არა ძალადობას კი არა, ვალდებულები ხართ იძალადოთ სამშობლოსთვის, იძალადოთ ღმერთისთვის, იძალადოთ სიწმინდისთვის.“

1.2. ძალადობრივი ქმედებები

5 ივლისს, პარლამენტის წინ კონტრაქციის ორგანიზატორის, კონსტანტინე მორგოშიას მოწოდების შემდეგ, კონტ-აქციის მონაწილეებმა „სირცხვილიას“ ოფისის სადარბაზო დაარბიეს. ძალადობრივი ჯგუფების ადგილზე მისვლამდე რამდენიმე წუთით ადრე დატოვეს ოფისი „სირცხვილიას“ და სხვა სამოქალაქო აქტივისტებმა, რათა ამ ჯგუფებისგან მომავალი ძალადობის საფრთხეები აეცილებინათ თავიდან.[17] სწორედ მოძრაობა „სირცხვილიას“ ოფისთან მობილიზებული ძალადობრივი ჯგუფის წევრების მიერ მიყენებული ფიზიკური ძალადობის შედეგად დაშავდა “ტვ პირველის” ოპერატორი ლექსო ლაშქარავა. ოპერატორს ტვინის შერყევა, სახის ძვლების მოტეხილობა და მრავლობითი დაჟეჟილობა აღენიშნებოდა, რის გამოც მას ქირურგიული ოპერაციაც ჩაუტარდა. 11 ივლისს ლექსო ლაშქარავა საკუთარ სახლში გარდაცვლილი იპოვეს, თუმცა ამ დრომდე უცნობია, რა გახდა მისი გარდაცვალების რეალური მიზეზი.[18]

ამავე დღეს, სიძულვილით მოტივირებული კონტრაქციის მონაწილეები ახვლედიანის ქუჩაზე მდებარე სამოქალაქო ორგანიზაციის, ,,თბილისი პრაიდის'' ოფისშიც შეიჭრნენ.[19] მათ ადგილზე არსებული ნივთები და ინვენტარი დააზიანეს. “თბილისი პრაიდის” ერთ-ერთი ორგანიზატორი, გიორგი თაბაგარი ძალადობრივი დაჯგუფების ორგანიზებულ ხასიათზე საუბრობდა.[20] მისი განმარტებით, ,,სირცხვილიას“ ოფისიდან უსაფრთხოების მიზნით ევაკუირებულმა პრაიდის ორგანიზატორებმა არაერთი ლოკაცია შეიცვალეს, თუმცა მათ გადაადგილების მარშრუტს ძალადობრივი ჯგუფების წარმომადგენლები იგებდნენ და უკვე ახალ ლოკაციაზე უქმნიდნენ ფიზიკური ანგარიშსწორების საფრთხეს.

ძალადობრივ ინციდენტებს ადგილი ჰქონდა მრგვალ ბაღთანაც, როდესაც ,,სირცხვილიას” ოფისის დატოვების შემდეგ, აქტივისტებმა უსაფრთხოების მიზნით გაეროს ოფისისკენ გადმოინაცვლეს. გიორგი თაბაგარი აღნიშნავს, რომ გაეროს ოფისთან კონტრაქციის წევრების მიერ განხორციელებული დევნისას ფიზიკურ ძალადობას თვითონ შემთხვევით გადაურჩა. მასთან მყოფ “რადიო თავისუფლების” ორ ჟურნალისტს კი მოძალადეები ფიზიკურად

---

[16] რატომ ეპატიება დეკანოზს ის, რასაც არ პატიობენ სხვას, 06.07.2021, ხელმისაწვდომია: https://netgazeti.ge/news/552442/, წვდომის თარიღი: 03.09.2021.

[17] ნეტგაზეთი | 5 ივლისის ძალადობის ჯგუფურ ორგანიზებაზე მიუთითებს ყველაფერი, გამოძიების გარდა, 07.07.2021, ხელმისაწვდომია: https://netgazeti.ge/news/552711/ ; (485) Prejudice and pride - YouTube, წვდომის თარიღი: 03.09.2021.

[18] მედია ჩეკერი ოპერატორი ლექსო ლაშქარავა გარდაიცვალა, 11.07.2021, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3zBEEP0, წვდომის თარიღი: 03.09.2021.

[19] სიძულვილის ჯგუფები "თბილისი პრაიდის" ოფისში შეიჭრნენ, 05.07.2021 https://www.radiotavisupleba.ge/a/31341554.html, წვდომის თარიღი: 03.09.2021.

[20] ნეტგაზეთი | 5 ივლისის ძალადობის ჯგუფურ ორგანიზებაზე მიუთითებს ყველაფერი, გამოძიების გარდა, 07.07.2021, ხელმისაწვდომია: https://netgazeti.ge/news/552711/, წვდომის თარიღი: 03.09.2021.

გაუსწორდნენ იმ დროს, როდესაც ისინი საკუთარ სამსახურეობრივ მოვალეობას ასრულებდნენ.[21]

კონტრაქციის მონაწილეებმა პიროტექნიკა ისროლეს ,,თბილისის ადამიანის უფლებათა სახლის" ეზოშიც, სადაც პრაიდის ორგანიზატორებმა გაეროს ოფისიდან უსაფრთხოების მიზნით გადაინაცვლეს.[22]

,,სირცხვილიას" ოფისთან განხორციელებულ ძალადობრივ ქმედებამდე, ,,ღირსების მარშის" მოწინააღმდეგე ულტრამემარჯვენე ჯგუფების წევრებმა პარლამენტის წინ ხელისუფლების წინააღმდეგ საპროტესტო აქციის ფარგლებში განთავსებული კარვები დაშალეს და ასევე დააზიანეს პარლამენტის წინ აღმართული ევროკავშირის დროშა.

5 ივლისს დაგეგმილი „ღირსების მარშის" საწინააღმდეგოდ გამოსული მოძალადე ჯგუფების წევრების მიზანმიმართული ანგარიშსწორების[23] შედეგად სულ მედიის 53 წარმომადგენელი დაშავდა.[24] ასევე დაზიანდა სატელევიზიო ტექნიკა. გარდა ამისა, ამ მოვლენების დროს ფიზიკური დაზიანებები მიიღო 11-მა აქტივისტმა/ფიზიკურმა პირმა და 7-მა სამართალდამცავმა.[25]

1.3. სამართალდამცავი ორგანოების არაეფექტიანობა

მიუხედავად მედიაში საჯაროდ გავრცელებული ძალადობრივი მოწოდებებისა ,,ღირსების მარშის" ჩაშლის შესახებ და ამ მიზნით სიძულვილით მოტივირებული კონტრაქციის მონაწილეთა წინასწარ დაგეგმილი მობილიზაციისა, შინაგან საქმეთა სამინისტრომ არ უზრუნველყო სათანადო ზომების მიღება. სახელმწიფომ არათუ ვერ შეძლო ძალადობრივი ფაქტების პრევენცია შეკრების ადგილას მობილიზებული არაადეკვატური რაოდენობის საპოლიციო ძალების გამოყვანით, არამედ უშუალოდ ინციდენტების აღკვეთის პროცესშიც პოლიცია იყო უმოქმედო და არაეფექტური.

„თბილისი პრაიდის" კვირეულის პარალელურად, პოლიციის მიერ ჩატარებული ღონისძიებების შესახებ შინაგან საქმეთა სამინისტრომ ინფორმაცია გამოაქვეყნა.[26] შსს-ს ინფორმაციით, ,,5 ივლისს დილის საათებიდან შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი

---

[21] ნეტგაზეთი | წარმოუდგენელი იყო ეს ჯოჯოხეთი – გიორგი თაბაგარის ისტორია 5 ივლისის შემდეგ, 30.07.2021, ხელმისაწვდომია: https://netgazeti.ge/news/555896/, წვდომის თარიღი: 03.09.2021.

[22] ნეტგაზეთი | შენობაში, სადაც 50-მდე ადამიანი იყო შეკრებილი ძალადობრივმა ჯგუფებმა ასაფეთქებელი შეაგდეს, 05.07.2021, ხელმისაწვდომია: https://netgazeti.ge/news/552305/, წვდომის თარიღი: 03.09.2021.

[23] რას ჰყვებიან დაშავებული ჟურნალისტები, 06.07.2021, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/38dLjTx, წვდომის თარიღი: 03.09.2021.

[24] ჟურნალისტების სია, რომლებსაც ძალადობრივი ჯგუფები თავს დაესხნენ, 05.07.2021, ხელმისაწვდომია: https://www.mediachecker.ge/ka/mediagaremo/article/88604-dashavebuli-zhurnalistebis-sia, წვდომის თარიღი: 03.09.2021.

[25] საქართველოს გენერალური პროკურატურის 10 აგვისტოს N13/48550 წერილი

[26] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, 07.07.2021 - შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაცია "თბილისი პრაიდის" კვირეულის პარალელურად პოლიციის მიერ ჩატარებული ღონისძიებების შესახებ

საპოლიციო დანაყოფები, წინასწარ შემუშავებული გეგმის შესაბამისად, მობილიზებული იყვნენ რუსთაველის გამზირზე და მიმდებარე ტერიტორიაზე, ასევე მობილიზებული იყო სპეციალური დანიშნულების სარეზერვო ძალები, რომლებიც საჭიროების შემთხვევაში, კონკრეტული მითითების შესაბამისად ჩაერთვებოდნენ ღონისძიებაში. ჯამში, 5 ივლისის ღონისძიებაში მონაწილეობის მისაღებად მზადყოფნაში იმყოფებოდა 3200-მდე პოლიციის თანამშრომელი". თუმცა, სამინისტრო ასაიდუმლოებს ინფორმაციას, რომელი დანაყოფებიდან (მაგალითად, საპატრულო დეპარტამენტი, ცენტრალური კრიმინალური პოლიცია, სპეციალური და საგანგებო ღონისძიებების ცენტრი, განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტი თუ სხვა) რამდენი თანამშრომელი იყო მობილიზებული შემთხვევის დღეს.

18 ივლისს საქართველოს პარლამენტში 5-6 ივლისის მოვლენებთან დაკავშირებით შსს მინისტრის, ვახტანგ გომელაურის რიგგარეშე მოსმენაც ჩაიშალა.[27] 23 ივლისს, 5-6 ივლისის მოვლენებზე ძალოვანი უწყების პირველმა პირმა მედიასთან ინტერვიუში განმარტა, რომ 5 ივლისს შინაგან საქმეთა სამინისტრო არ ელოდა, რომ რუსთაველზე შეკრებილი კონტრ-დემონსტრანტები ჟურნალისტებს დაუპირისპირდებოდნენ.[28] იგივე ეწერა შსს-ს მიერ გავრცელებულ განცხადებაშიც: ,,ვინაიდან აღნიშნულ ტერიტორიაზე იკრიბებოდნენ მხოლოდ მარშის გამართვის მოწინააღმდეგე ჯგუფები, შსს-ს არ ელოდა დაპირისპირების კერის წარმოშობას, შესაბამისად, პოლიციის სპეციალური კორდონების განლაგების აუცილებლობა არ არსებობდა. ამავე განცხადებაში, შსს-მ აღნიშნა, რომ რუსთაველის გამზირზე მიმდინარე აქციის დროს, ღირსების მარშის მოწინააღმდეგე ჯგუფების წევრების აგრესიული ქცევა და ძალადობრივი ქმედებები მათთვის მოულოდნელი იყო".

გარდა ამისა, გომელაურმა მედიასთან საუბრისას განაცხადა, რომ „იყო თავიდან 3 ლოკაცია, მერე გახდა 8 ლოკაცია და ბოლოს იყო 20 ლოკაცია. 20 ლოკაციაზე რომ გაანაწილო 3200 კაცი გამოვა დაახლოებით 150 ადამიანი ერთ ლოკაციაზე".[29] სამინისტროს განცხადებითაც, ,,იმ გარემოებების გათვალისწინებით, რომ წინასწარ ზუსტი დრო და ლოკაცია არ იყო ცნობილი საიდან დაიწყებოდა „თბილისი პრაიდის" მიერ დაანონსებული ღირსების მარში, პოლიციის ჯგუფები გადანაწილდა სხვადასხვა ლოკაციაზე, სადაც განლაგებულები იყვნენ სხვადასხვა ულტრაკონსერვატორული ჯგუფები.

ბუნდოვანია, ძალადობრივი ინციდენტების რომელ 20 კერასთან იყვნენ მობილიზებული სამართალდამცავები, მაშინ როდესაც ,,სირცხვილიას" ოფისთან მომხდარი მასშტაბური ძალადობრივი ფაქტების, ,,თბილისი პრაიდი''-ს ოფისში შეჭრის, ,,თბილისის ადამიანის უფლებათა სახლის" ეზოში პიროტექნიკის გამოყენების, გაეროს ოფისთან შეხლა-შემოხლის, პარლამენტის წინ მშვიდობიანი მომიტინგეების კარვების დარბევისა და ევროკავშირის დროშის ჩამოხსნისა და დაზიანების ვერც ერთ ეპიზოდში, პოლიციამ დროულად ვერ აღკვეთა

---

[27] ნეტგაზეთი | პარლამენტში ვახტანგ გომელაურის მოსმენა ჩაიშალა, 18.07.2021, ხელმისაწვდომია: https://netgazeti.ge/news/554837/, წვდომის თარიღი: 03.09.2021.

[28] რა შემთხვევაში გადადგება ვახტანგ გომელაური - შს მინისტრის მიმართ გაჩენილი კითხვები "ღამის კურიერისთვის" მიცემული ექსკლუზიური ინტერვიუს შემდეგ, 23.07.2021, ხელმისაწვდომია: https://rustavi2.ge/ka/news/205348, წვდომის თარიღი: 03.09.2021.

[29] გომელაური 5 ივლისის მოვლენებზე: რისი საშუალებაც იყო, იმდენი პოლიციელი გამოვიყვანეთ 08.07.2021, ხელმისაწვდომია: https://formulanews.ge/News/53249, წვდომის თარიღი: 03.09.2021.

ძალადობრივი ინციდენტები. ეს ყველაფერი კი იმ ფონზე ვითარდებოდა, როდესაც ძალადობრივი ჯგუფის წევრები გადაადგილების მარშრუტებსა თუ მიზნებს ღიად აცხადებდნენ აქციის მიმდინარეობისას და სხვადასხვა მედია საშუალებებით პირდაპირ ეთერში.

შსს-მ განცხადებაში დაადასტურა, რომ როდესაც აქციის მონაწილეების ნაწილი, პარლამენტის მიმდებარე ტერიტორიიდან დაიძრნენ „სირცხვილიას“ ოფისთან, დემონსტრანტთა დიდი რაოდენობიდან გამომდინარე, დამატებითი ჯგუფების მოსვლამდე ვერ მოხერხდა „სირცხვილიას“ ოფისის სადარბაზოში შეჭრის პრევენცია. ადგილზე მყოფი წინასწარ მობილიზებული საპატრულო პოლიციის ეკიპაჟი კი არ აღმოჩნდა საკმარისი ძალადობის აღსაკვეთად.“ აღნიშნულ ეპიზოდში არათუ ოფისის სადარბაზოში შეჭრის აღკვეთა ვერ მოხდა, სადარბაზოსთან მყოფი რამდენიმე პოლიციელი უმოქმედოდ იდგა და მათ მიერ წინააღმდეგობის გაწევის მცდელობასაც არ ჰქონია ადგილი ძალადობრივი ჯგუფების წევრების მიმართ. უფრო მეტიც, ტელეკომპანია ,,პუბლიკას" მიერ მომზადებულ ვიდეო მასალაში ნათლად ჩანს, რომ უკვე გაძლიერებული საპოლიციო ძალების ფონზეც, სამართალდამცავებმა არა თუ ძალადობრივი ქმედებების ავტორები არ დააკავეს, არამედ კონტრაქციის ერთ-ერთ ორგანიზატორი კონსტანტინე მორგოშია, ჯგუფის სხვა წევრებთან ერთად სადარბაზოში შეუშვეს, რათა დარწმუნებულიყვნენ, რომ სადარბაზოში არავინ აღარ იმყოფებოდა.[30] შესაბამისად, ხელისუფლებამ ვერ უზრუნველყო საკმარისი საპოლიციო რესურსების და სტრატეგიების გამოყენება აქციაზე მასშტაბური ძალადობის პრევენციისა და აღკვეთისთვის.

1.4. გამოძიების შედეგები და დაზარალებულები

შინაგან საქმეთა სამინისტროს 30 ივლისის მონაცემებით, 5-6 ივლისს განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით დაწყებული გამოძიების ფარგლებში დაკავებულია 31 პირი; "თბილისი პრაიდის" საწინააღმდეგოდ გამართული აქციის საქმეებზე მიმდინარე სისხლის სამართლებრივი დევნა ჟურნალისტებისთვის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლის,[31] დევნის[32] და ჯგუფურ ძალადობაში მონაწილეობის,[33] ბინის ან სხვა მფლობელობის ხელშეუხებლობის ჯგუფურად დარღვევის[34] მუხლებით მიმდინარეობს. აქედან:

- ჟურნალისტებისთვის პროფესიულ საქმიანობაში ძალადობის მუქარით, უკანონოდ ხელის შეშლის, ჯგუფური ძალადობის და ძალადობის მუქარით დევნის საფუძვლით დაკავებულია 27 პირი;

[30] „სირცხვილიას“ ოფისსა და ლექსო ლაშქარავაზე თავდასხმის ქრონოლოგია, 17.07.2021, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3DhG3MV, წვდომის თარიღი: 03.09.2021.

[31] სსკ-ის 154-ე მუხლის მე-2 ნაწილი;
[32] 156-ე მუხლის მე-2 ნაწილი;
[33] 225-ე მუხლის მე-2 ნაწილი;
[34] სსკ-ის 160-ე მუხლის მე-2 ნაწილი;

- ,,თბილისი პრაიდის“ ოფისის დარბევისთვის, ჯგუფურ ძალადობაში მონაწილეობის, ძალადობით ან ძალადობის მუქარით დევნის, ასევე, ბინის ან სხვა მფლობელობის ხელშეუხებლობის ჯგუფურად დარღვევის გამო - 3 პირი;
- მოქალაქის მიმართ ჩადენილი ძალადობისთვის კი დაკავებულია 1 პირი.

საქართველოს პროკურატურის ინფორმაციით, დაზარალებულად ცნობილია 1 იურიდიული პირი და 52 ფიზიკური პირი, მათ შორის, 42 ჟურნალისტი და ოპერატორი. გარდა ამისა, პოლიციაზე ძალადობისა და თავდასხმის მუხლებით (სისხლის სამართლის კოდექსის 353-ე და 353[1] მუხლები) მიმდინარე გამოძიების ფარგლებში, დაზარალებულად ცნობილია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 7 თანამშრომელი.

მიუხედავად იმისა, რომ არსებობს ძალადობისკენ მოწოდების საჯარო განცხადებების ვიდეოჩანაწერები, ამავდროულად, ცალკეულ სატელევიზიო ეთერებში კონტრ-აქციის ორგანიზატორები წინასწარ საუბრობდნენ ძალადობრივ სცენარზე და მოუწოდებდნენ მოქალაქეებს, რომ არ გამიჯვნოდნენ ძალადობას, ამ დრომდე ძალადობრივი მოწოდებებისა და მისი ორგანიზების ბრალდებით არავინ არის დაკავებული, რაც ამ საქმეების სრულყოფილად გამოძიების პოლიტიკური ნების არარსებობაზე მიუთითებს. უფრო მეტიც, არსებული პრაქტიკა სტრუქტურულია და სახელმწიფო წლებია აღნიშნული ძალადობრივი ჯგუფების მიმართ ლოიალობას იჩენს. აღნიშნული ვლინდებოდა ამ ჯგუფის ცალკეული წევრების ღია მუქარების თუ უშუალო ძალადობრივი ქმედებების იგნორირებაში. აგრეთვე, სწორედ აღნიშნული ჯგუფების დახმარებით და მათი ინსტრუმენტალიზებით ახერხებდა ხელისუფლება სხვადასხვა დროს სხვადასხვა ტიპის სოციალური თუ პოლიტიკური პროტესტების ჩახშობას, რისი მაგალითიც იყო 2018 წლის 12 მაისს თბილისის ღამის კლუბებში ჩატარებული მასშტაბური საპოლიციო რეიდის შემდგომ განვითარებული მოვლენები.[35]

სამართალდამცავთა მიერ ინცინდენტების შემდგომი რეაგირება რომ შევაჯამოთ, გამოძიების დაწყებიდან 2 თვის შემდეგაც:

- არ არიან დაკავებულები ძალადობის ორგანიზატორები, მიუხედავად მათი მხრიდან ძალადობისკენ ღია და პირდაპირი მოწოდებებისა, ასევე შეკრების ადგილზე კონკრეტული პირებისთვის ინსტრუქციების მიცემისა;[36]
- გამოძიება ამ დრომდე არ არის დაწყებული შეკრების უფლების ხელყოფის ფაქტებზე (სისხლის სამართლის კოდექსის 161-ე მუხლი), მაშინ როცა აღნიშნული დანაშაულის ნიშნები ცალსახად არსებობდა 5-6 ივლისის მოვლენების დროს და ამ ქმედებებს ჰქონდა კარგად ორგანიზებული ხასიათი;

---

[35] იხ.: ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი, 12 მაისი - მასშტაბური საპოლიციო ოპერაცია თბილისის კლუბებში, 2018 წ.

[36] 6 ივლისს პოლიციამ ჩხრეკა ალტ-ინფოს ლიდერების, კონსტანტინე მორგოშიასა და ზურა მახარიძის, ასევე ჰომოფობიური აქციების ერთ-ერთი ლიდერის გურამ ფალავანდიშვილისა და მისი ვაჟის, ალექსანდრე ფალავანდიშვილის ბინებში ჩატარდა, ასევე დაკითხა ათზე მეტი პირი, რომლებიც სხვადასხვა ფორმით ჩართული იყვნენ ძალადობრივი აქციის ორგანიზებაში, თუმცა საგამოძიებო მოქმედებებს შედეგი ამ დრომდე არ მოჰყოლია

- მოძრაობა „სირცხვილიას“ ოფისზე თავდასხმის, ორგანიზაციის წევრების მიმართ მუქარისა და ფიზიკური ძალადობის მცდელობების მიუხედავად, ამ დრომდე არ არის გადაწყვეტილება მიღებული მოძრაობის წევრების დაზარალებულად ცნობაზე.

2. „მშვიდობიანი“ და „არამშვიდობიანი“ (ძალადობრივი) დემონსტრაციების ცნება

შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლების კონტექსტში ცენტრალური მნიშვნელობა ენიჭება იმ ფაქტს, არის თუ არა ის მშვიდობიანი. საერთაშორისო სამართლებრივი პრინციპებითა და სასამართლო პრაქტიკით, მხოლოდ მშვიდობიანი დემონსტრაცია სარგებლობს დაცვის უფლებით და, შესაბამისად, მასთან მიმართებით წარმოიშობა სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულებები.[37]

ტერმინ 'მშვიდობიანის' შინაარსი ერთმნიშვნელოვან განმარტებას არ ექვემდებარება, თუმცა არსებობს ძირითადი კრიტერიუმები და მიდგომები, რომლებიც მის მოხელთებას შესაძლებელს ხდის. დამკვიდრებული მიდგომით, მშვიდობიანი შეკრება ფართოდ უნდა განიმარტოს და უნდა არსებობდეს პრეზუმფცია მის სასარგებლოდ.[38]

იმის დასადგენად, არის თუ არა პროტესტი მშვიდობიანი, ყურადღება უნდა გამახვილდეს ორ კომპონენტზე: ფორმასა (manner) და განზრახვებზე (intentions).[39] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით საქმეში Cisse v. France (2002), *„პრაქტიკულად, ერთადერთი ტიპის ღონისძიება, რომელიც არამშვიდობიანად შეიძლება იქნას მიჩნეული ის არის, რომელშიც ორგანიზატორები და მონაწილეები გამოხატავენ ძალადობის გამოყენების განზრახვას.“* შესაბამისად, ის დემონსტრაციები, რომლებიც მათი ორგანიზატორების მიერ სახელდებული იყო როგორც 'მშვიდობიანი', ასეთადაც უნდა ჩაითვალოს მანამ, სანამ აშკარა და ხილვადი მტკიცებულება არ იარსებებს, რომ ღონისძიების ორგანიზატორები ან მონაწილეები განიზრახავენ, ადვოკატირებენ ან ახალისებენ ძალადობის გამოყენებას.[40] ამდენად, მშვიდობიანი დემონსტრაციის ცნება არ მოიცავს იმ ტიპის ღონისძიებებს, სადაც ორგანიზატორებს ან მონაწილეებს აქვთ ძალადობრივი განზრახვები და რომელიც საჯარო არეულობაში (public disorder) გამოიხატება.[41]

მშვიდობიანი დემონსტრაციის ფარგლებში უნდა მოექცეს ის ღონისძიებებიც, რომლებიც შეიცავს გამაღიზიანებელ ან სხვებისთვის არასასიამოვნო ქცევას, მათ შორის ისეთიც, რომელიც დროებით აბრკოლებს, აფერხებს ან ხელს უშლის მესამე მხარის აქტივობების

---

[37] OSCE/ODIHR – VENICE COMMISSION GUIDELINES ON FREEDOM OF PEACEFUL ASSEMBLY (2ND EDITION), adopted by the Venice Commission at its 83rd Plenary Session, 2010, p. 24.
[38] Geneva Academy of International Humanitarian Law and Human Rights, Use of Force in Law Enforcement and the Right to Life: The Role of the Human Rights Council, 2016, p. 18.
[39] Ibid.
[40] OSCE/ODIHR – VENICE COMMISSION GUIDELINES ON FREEDOM OF PEACEFUL ASSEMBLY (2ND EDITION), adopted by the Venice Commission at its 83rd Plenary Session, 2010, p. 24.
[41] Ibid.

განხორციელებას.[42] ამასთან, აქ იგულისხმება იმ ტიპის დემონსტრაციები, რომლებსაც ეს შედეგი მოაქვთ აშკარა ძალადობრივი ბუნების გარეშე, მაგალითად, როგორიცაა პასიური წინააღმდეგობის ფორმები.[43] აღსანიშნავია, რომ მონაწილეთა მცირე რიცხვის ძალადობრივი ქცევა და იზოლირებული ინციდენტები იმთავითვე არ ნიშნავს, რომ მთლიანად აქცია 'არამშვიდობიანად' უნდა კლასიფიცირდეს.[44]

უშუალოდ ძალადობრიობის ელემენტის განმარტებისას მიზანშეუწონლად მიიჩნევა ვიწრო დეფინიციები, მაგალითად, მხოლოდ ფიზიკურ ძალადობასა და დამდგარ ფიზიკურ ზიანზე აქცენტის გაკეთება. კერძოდ, ძალადობრივად ასევე უნდა ჩაითვალოს 'გამოჭერილი ადამიანების' (captive audience) მიმართ არაჰუმანური და ღირსების შემლახავი მოპყრობა, ასევე წინასწარ განზრახული დაშინება ან შევიწროება.[45] ამ საკითხზე ნათელი განმარტება ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ გააკეთა საქმეში „იდენტობა და სხვები საქართველოს წინააღმდეგ (2015)." სასამართლოს გადაწყვეტილებაში მითითებულია, რომ *„საკითხი, მიადგა თუ არა მომჩივნებს სხეულის გარკვეული სიმძიმის დაზიანება, ნაკლებად რელევანტურია. ცამეტივე მომჩივანი ფიზიკური პირი გახდა სიძულვილის ენის და აგრესიის სამიზნე, და ამ ფაქტს მთავრობა სადავოდ არ ხდის [...]. იმის გათვალისწინებით, რომ მომჩივნები ადამიანების განრისხებული ბრბოთი იყვნენ გარშემორტყმულნი, რომელიც მათ რაოდენობით აღემატებოდა და სიკვდილით ემუქრებოდა, ხოლო შიგადაშიგ ფიზიკურ შეურაცხყოფაზე გადადიოდა, რაც განხორციელებული მუქარის რეალურ ხასიათზე, და აშკარა ჰომოფობიური დისკრიმინაციული ფაქტორის დამამძიმებელ გარემოებაზე მეტყველებს [...], არსებული სიტუაცია უკვე საკმარისი იყო, რომ ძლიერი შიში და მღელვარება აღეძრა. სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენების მიზანს აშკარად წარმოადგენდა მომჩივნების დაშინება, რათა მათ შეეწყვიტათ ლგბტ საზოგადოების მიმართ თავიანთი მხარდაჭერის საჯარო გამოხატვა [...]. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლოს მიაჩნია, რომ მომჩივნების მიმართ განხორციელებული მოპყრობა მათში შიშის, ტანჯვისა და დაუცველობის გამომწვევი იყო, რაც ადამიანის ღირსების დაცვას არ შეესაბამება და, რამაც კონვენციის მე-3 მუხლით გათვალისწინებული უფლების დარღვევის სიმძიმის ზღვარს მიაღწია მე-14 მუხლთან ერთობლიობაში."*[46]

როგორც აღინიშნა, არამშვიდობიანი დემონსტრაცია გადის შეკრებისა და გამოხატვის უფლებით დაცვის ფარგლებიდან და სახელმწიფოს მისი მყისიერი აღკვეთის ვალდებულება აქვს. ძალადობრივ აქციაზე სახელმწიფოს რეაგირების ვალდებულება გამომდინარეობს არა მხოლოდ შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლების, არამედ ადამიანის სიცოცხლის,

---

[42] Ibid, pp. 24-25.
[43] Ibid, p. 25.
[44] Ibid, p. 24.
[45] Ibid.
[46] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო მეოთხე სექცია, საქმე „იდენტობა და სხვები საქართველოს წინააღმდეგ", 2015, 70-ე და 71-ე პარაგრაფები, ხელმისაწვდომია: https://matsne.gov.ge/ka/document/view/3032951?publication=0, წვდომის თარიღი: 03.09.2021.

ჯანმრთელობისა და ღირსების დაცვის მოთხოვნიდან.[47] ამასთან, უნდა ითქვას ისიც, რომ თუნდაც დემონსტრაციის ორგანიზატორებს მშვიდობიანი მიზნები ჰქონოდათ, კონკრეტული გარემოებების შექმნის შემთხვევაში აქცია მაინც შეიძლება დაექვემდებაროს შეზღუდვის სხვადასხვა ფორმას საჯარო წესრიგის დაცვისა და სხვა ლეგიტიმური საფუძვლების არსებობისას.[48] ეს საფუძვლები წარმოიშობა მაშინ, როცა არსებობს მტკიცებულება, რომ მონაწილეები თავად გამოიყენებენ ან წაახალისებენ იმწუთიერ, უკანონო და არეულობის გამომწვევ მოქმედებებს, და ეს მოქმედებები დიდი ალბათობით განხორციელდება.[49] ასეთი მტკიცებულება შეიძლება გაჩნდეს დემონსტრაციის მიმდინარეობის ეტაპზეც, რაც მისი შეზღუდვის საფუძველი უნდა გახდეს.[50] ამასთან, დემონსტრაციის აკრძალვა უკიდურესი ზომაა და ის მხოლოდ მაშინ უნდა იქნეს გამოყენებული, როცა სხვა ვერც ერთი საშუალებით ლეგიტიმური მიზანი ვერ მიიღწევა.[51]

3. კონტრ-დემონსტრაციების დაშვებისა და მართვის სტანდარტები

კონტრ-დემონსტრაციები თანადროული (simultaneous) დემონსტრაციების ის ფორმაა, რომლის მიზანია, სხვა შეკრების მონაწილე ადამიანების შეხედულებების/აქტივობების საწინააღმდეგო პოზიციები გაჟღერდეს.[52] დემოკრატიულ საზოგადოებაში განსაკუთრებით ყურადსაღებია ის მშვიდობიანი დემონსტრაციები, რომელიც საზოგადოების გარკვეული ნაწილისთვის არაპოპულარულ აზრებსა და იდეებს ახმოვანებს, რადგან ამ დროს მომეტებულია მათ მიმართ აგრესიული წინააღმდეგობის რისკები.[53] თუმცა, აღსანიშნავია, რომ მტრული ან წინააღმდეგობრივი ჯგუფების მხრიდან მომდინარე არეულობის რისკები არ შეიძლება გახდეს მშვიდობიან შეკრებაზე შეზღუდვების დაწესების გამამართლებელი საფუძველი.[54] მაგალითად, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეში ALEKSEYEV v. RUSSIA (2011) მიუთითა, რომ ეროვნული მთავრობის მიერ ლგბტ საჯარო შეკრებების გამართვაზე უარი არ იყო აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში და არ პასუხობდა სოციალურ საჭიროებებს. სასამართლოს მიხედვით, *„დემონსტრაციისას ოპოზიციურ ჯგუფებს შორის დაძაბულობისა და სიძულვილის წარმოშობის ყოველი შესაძლებლობა შეკრების თავისუფლების შეზღუდვის საფუძველს რომ წარმოადგენდეს, საზოგადოება მოკლებული იქნებოდა განსხვავებული აზრის მოსმენის შესაძლებლობას, რომელიც შესაძლოა არ იყოს თანხვედრაში უმრავლესობის აზრთან.“*[55]

---

[47] OSCE/ODIHR – VENICE COMMISSION GUIDELINES ON FREEDOM OF PEACEFUL ASSEMBLY (2ND EDITION), adopted by the Venice Commission at its 83rd Plenary Session, 2010, p. 64.
[48] Ibid, p. 25.
[49] Ibid, p. 41.
[50] Ibid, p. 53.
[51] Ibid, p. 51.
[52] OSCE/ODIHR – VENICE COMMISSION GUIDELINES ON FREEDOM OF PEACEFUL ASSEMBLY (2ND EDITION), adopted by the Venice Commission at its 83rd Plenary Session, 2010, p. 10.
[53] Ibid, p. 27.
[54] Ibid.
[55] CASE OF ALEKSEYEV v. RUSSIA, JUDGMENT, STRASBOURG, 2011, paragraph 77, ხელმისაწვდომია: https://hudoc.echr.coe.int/tur#{%22itemid%22:[%22001-101257%22]} , წვდომის თარიღი: 03.09.2021.

ამდენად, სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულება, დაიცვას მშვიდობიანი გამოხატვის უფლება, ვრცელდება კონტრ-დემონსტრაციების არსებობის პირობებშიც. საინტერესოა, რომ უშუალოდ ლგბტქ+ პირების უფლებების დაცვასთან დაკავშირებით არსებობს ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციები, სადაც მითითებულია: *„წევრმა სახელმწიფოებმა სამართალდამცავი უწყებების მეშვეობით უნდა უზრუნველყონ ლგბტ ადამიანების მშვიდობიანი დემონსტრაციების გამართვის უფლება ნებისმიერი არაკანონიერი ჩარევისა და ხელშეშლის მცდელობისგან, რათა მათ შეძლონ შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლებით სათანადო სარგებლობა; წევრმა სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ ყველა ზომა, რათა თავიდან აირიდონ ლგბტ თემისთვის გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის ისეთი საფუძვლები, რომლებიც გამომდინარეობს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის, ზნეობის და საჯარო წესრიგის დაცვის მოტივებიდან; ხელისუფლების წარმომადგენლებმა საჯაროდ, განსაკუთრებით კი მედიის მეშვეობით, უნდა დაგმონ ნებისმიერი არაკანონიერი ჩარევა ამ შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლების განხორციელების პროცესში.“*[56] ამ საკითხს შეეხო ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოც საქმეში Berkman v. Russia (2021), სადაც მან აქცენტი გააკეთა პოლიტიკური ხელისუფლების წარმომადგენლების განსაკუთრებულ პასუხისმგებლობაზე და მიუთითა, რომ კონტრ-დემონსტრაციების მართვის და მარგინალიზებული ჯგუფების მშვიდობიანი დემონსტრაციების დაცვის პრინციპი უბრალოდ საჯარო წესრიგის უზრუნველყოფაზე უფრო შორს მიდის. ასეთ დროს სახელმწიფოს თანასწორობის დაცვის ვალდებულება აქვს. სასამართლომ აღნიშნა: *„საწყის სტადიაში პოლიციის პასიურმა ქცევამ, პრევენციული ზომების მიღების ნაკლებობამ (როგორიცაა ტოლერანტობისკენ ოფიციალური, საჯარო მოწოდებები; ჰომოფობიური ჯგუფების მოქმედებების მონიტორინგი; ღონისძიების ორგანიზატორებთან კომუნიკაციის არხების გამართვა) და [მშვიდობიანი დემონსტრანტების] შემდგომმა ადმინისტრაციულმა დაკავებებმა გამოამჟღავნა, რომ პოლიციის ოფიცრებს მხოლოდ საჯარო წესრიგის დაცვის მიზანი ამოძრავებდათ და საჭიროდ არ ჩაუთვლით ღონისძიების ფასილიტაცია. ანალოგიურად, შიდა სასამართლოებმაც სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულებების ასეთი ვიწრო განმარტება გამოიყენეს.“*[57]

პოლიტიკური ხელისუფლების მხრიდან ჰომოფობიური გამონათქვამები სტრასბურგის სასამართლომ ასევე მკაცრად გააკრიტიკა საქმეში ALEKSEYEV v. RUSSIA (2011), როგორც დისკრიმინაციული და ადამიანის უფლებების შემლახავი, ასევე საქმეში „იდენტობა და სხვები საქართველოს წინააღმდეგ“, სადაც აღნიშნულია: *„სექსუალური უმცირესობების მიმართ ქართული საზოგადოების ნაწილის დამოკიდებულების გათვალისწინებით, ხელისუფლების ორგანოებმა იცოდნენ, ან ან მათ უნდა სცოდნოდათ მოსალოდნელი დაძაბულობის რისკები, რომლებიც დაკავშირებული იყო მომჩივანი ორგანიზაციის ჰომოფობიის წინააღმდეგ გრძოლის საერთაშორისო დღის აღსანიშნავ გარე მსვლელობასთან. შესაბამისად, მათ ჰქონდათ ვალდებულება, გამოეყენებინათ ყველა შესაძლო საშუალება,*

[56] OSCE/ODIHR – VENICE COMMISSION GUIDELINES ON FREEDOM OF PEACEFUL ASSEMBLY (2ND EDITION), adopted by the Venice Commission at its 83rd Plenary Session, 2010, p. 34.

[57] CASE OF BERKMAN v. RUSSIA, JUDGMENT, STRASBOURG, 2021, paragraph 53, ხელმისაწვდომია: https://hudoc.echr.coe.int/fre#{%22itemid%22:[%22001-206266%22]} , წვდომის თარიღი: 03.09.2021.

მაგალითად, დემონსტრაციამდე საჯარო განცხადებების მეშვეობით, ყოველგვარი ორაზროვნების გარეშე, მოეხდინათ ტოლერანტული, შემრიგებლური პოზიციის ადვოკატირება [...] ისევე როგორც, გაეფრთხილებინათ პოტენციური სამართალდამრღვევები შესაძლო სანქციების ხასიათზე."[58]

მიუხედავად იმისა, რომ კონტრ-დემონსტრაციის უფლება აღიარებული და დაცულია, ის არ შეიძლება გულისხმობდეს სხვათა გამოხატვის უფლებაში ჩარევას.[59] სახელმწიფო ვალდებულია, დაიცვას და მოახდინოს ორივე ღონისძიების ფასილიტაცია იმგვარად, რომ შენარჩუნდეს „ხილვადობისა და სმენადობის" (sight and sound) პრინციპი. საჭიროების შემთხვევაში, სახელმწიფო ვალდებულია ამ მიზნის განსახორციელებლად ადეკვატური საპოლიციო რესურსი გამოყოს,[60] სამართალდამცავები კი უნდა ფლობდნენ ხალხის მასის მართვისა და რისკების შემცირებისთვის საჭირო უნარებსა და ტექნიკას.[61]

'ხილვადობა და სმენადობა' ამ ტიპის მოვლენების დროს სახელმწიფოს მხრიდან უფლების დაცვისა და ღონისძიებების მართვის ერთ-ერთ ცენტრალური კომპონენტია. ეს პრინციპი ზოგადად გულისხმობს, რომ დემონსტრანტებს უნდა შეეძლოთ, ხედავდნენ და გააგონონ ხმა საკუთარ სამიზნე აუდიტორიას.[62] კონტრ-დემონსტრაციების შემთხვევაში ეს სამიზნე აუდიტორია ორ სხვადასხვა პოზიციებზე მდგარი მომიტინგეები არიან. შესაბამისად, სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს დემონსტრანტებისა და კონტრ-დემონსტრანტების მიერ ერთმანეთის 'დანახვა და მოსმენა.'[63]

თუმცა, ეს დაშვება ძალაშია მანამ, სანამ არ იქმნება საწინააღმდეგო მხარეებს შორის ფიზიკური დაპირისპირების საფრთხე.[64] ეს გამომდინარეობს პრინციპიდან, რომელიც ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლომ ჯერ კიდევ 1988 წელს ჩამოაყალიბა საქმეში Plattform 'Ärzte für das Leben' v. Austria *(„კონტრ-დემონსტრაციის უფლება არ შეიძლება განივრცოს იმ ზომამდე, რომ დააბრკოლოს სხვათა გამოხატვის უფლების განხორციელების შესაძლებლობა").*[65] შესაბამისად, განსაკუთრებული აქცენტი უნდა გაკეთდეს, რომ არ ჩაიშალოს ის ღონისძიება, რომლის საწინააღმდეგოდაც კონტრ-დემონსტრაცია იმართება.[66] სახელმწიფოს აქვს პოზიტიური ვალდებულება, დაიცვას მშვიდობიანი მანიფესტანტები და გამოიყენოს ყველა

---

[58] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო მეოთხე სექცია, საქმე „იდენტობა და სხვები საქართველოს წინააღმდეგ", 2015, 99-ე პარაგრაფი.

[59] Edison Lanza, Protest and Human Rights: Standards on the rights involved in social protest and the obligations to guide the response of the State, 2019, p. 32.

[60] OSCE/ODIHR – VENICE COMMISSION GUIDELINES ON FREEDOM OF PEACEFUL ASSEMBLY (2ND EDITION), adopted by the Venice Commission at its 83rd Plenary Session, 2010, p. 10.

[61] Ibid, p. 28.

[62] Ibid, p. 51.

[63] Ibid, p. 58.

[64] Ibid.

[65] Ibid.

[66] Ibid.

რესურსი, რომ მათ არ ჰქონდეთ ფიზიკური ძალადობის შიში.[67] ეს გულისხმობს დემონსტრანტების დაცვას ნებისმიერი ადამიანისგან ან ჯგუფისგან, რომელიც ცდილობს უფლების განხორციელების ხელშეშლას, მათ შორის აგენტ-პროვოკატორებისგან და კონტრ-დემონსტრანტებისგან.[68] ეს საკითხი ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლომ კიდევ უფრო განავრცო თავის უახლეს გადაწყვეტილებაში Berkman v. Russia (2021), სადაც აღნიშნა, რომ სახელმწიფომ ვერ შეასრულა პოზიტიური ვალდებულება. კერძოდ, გადაწყვეტილებაში მითითებულია: *„კონტრ-დემონსტრანტები მონაწილეებს სიტყვიერად ესხმოდნენ თავს, იყენებდნენ ჰომოფობიურად მოტივირებულ შეურაცხმყოფელ ლექსიკას. უწყებების წარმომადგენლებისთვის ცხადი იყო კონტრ-დემონსტრანტების გამოსვლებისა და ქცევის ჰომოფობიური კონოტაცია. თუმცა მას შესაბამისი რეაგირება არ მოჰყოლია. სახელმწიფომ ვერ შეძლო ღონისძიების იმგვარი ფასილიტაცია, რომ თავიდან აერიდებინა კონტრ-დემონსტრანტების მხრიდან ჰომოფობიური სიტყვიერი თავდასხმები და ფიზიკური იძულება. პოლიციელების პასიური ქცევის შედეგად, სექსუალური ორიენტაციის ნიშნით დისკრიმინაციის წინააღმდეგ მებრძოლი ადამიანები თავად გახდნენ ჰომოფობიური თავდასხმების მსხვერპლნი. ეს მოვლენები სახელმწიფომ ვერც თავიდან აირიდა, და ვერც მისი ადეკვატური მართვა მოახდინა.“*[69]

ამ საკითხზე ყურადღება გაამხვილებულია საქართველოს სახალხო დამცვლის სპეციალურ ანგარიშში, რომელიც მიუთითებს, რომ *„ერთ-ერთი მწვავე პრობლემაა ხელისუფლების მხრიდან ძალადობრივი ჯგუფების შეკრების თავისუფლებით მოსარგებლე, განსხვავებული მოსაზრების მქონე პირებად განხილვა, და მათგან მომდინარე საფრთხეების იმავე სამართლებრივ ჩარჩოებში მოქცევა, რომელშიც გარანტირებულია იმ პირთა უფლება, ვინც საკუთარ შეხედულებას მშვიდობიანი გზით გამოხატავს. ამგვარი მიდგომა ეწინააღმდეგება შეკრების თავისუფლების როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო სტანდარტს, რამდენადაც, ძალადობრივი ჯგუფების მიერ კონტრაქციების მხოლოდ სხვათა უფლების შეზღუდვის მიზნით გამართვა, უფლების ბოროტად გამოყენებაა, ხოლო მათ მიერ ჩადენილი ძალადობრივი ქმედებები დაცული არ არის შეკრების თავისუფლებით. ამდენად, ქვეყანაში მშვიდობიანი შეკრების თავისუფლების სრულფასოვნად რეალიზების უზრუნველსაყოფად, აუცილებელია ხელისუფლებამ დროულად შეცვალოს მსგავსი მიდგომა და ძალადობრივი ჯგუფებისგან მშვიდობიანი შეკრების მონაწილეთა დასაცავად, თითოეულ შემთხვევაში, ქმედითი პრევენციული თუ პროაქტიული ზომები გაატაროს.“*[70]

---

[67] CASE OF PLATTFORM "ÄRZTE FÜR DAS LEBEN" v. AUSTRIA, JUDGMENT, STRASBOURG, 1988, paragraph 32, ხელმისაწვდომია: https://hudoc.echr.coe.int/fre#{%22itemid%22:[%22001-57558%22]} , წვდომის თარიღი: 03.09.2021.

[68] OSCE/ODIHR – VENICE COMMISSION GUIDELINES ON FREEDOM OF PEACEFUL ASSEMBLY (2ND EDITION), adopted by the Venice Commission at its 83rd Plenary Session, 2010, p. 11.

[69] CASE OF BERKMAN v. RUSSIA, JUDGMENT, STRASBOURG, 2021, paragraph 56-57, ხელმისაწვდომია: https://hudoc.echr.coe.int/fre#{%22itemid%22:[%22001-206266%22]} , წვდომის თარიღი: 03.09.2021.

[70] საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში, მშვიდობიანი შეკრების თავისუფლება (უფლებით დაცული სფერო და შეკრების მართვის სტანდარტი), 2020, გვ. 11, ხელმისაწვდომია: https://ombudsman.ge/res/docs/2020061620213679437.pdf, წვდომის თარიღი: 03.09.2021.

შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რომ დაისვას კითხვა იმის შესახებ, ამოძრავებდა(თ) თუ არა აქციის ორგანიზატორ(ებ)ს უშუალოდ სხვა აქციის ჩაშლის და, მაშასადამე, სხვათა უფლებების ხელყოფის სურვილი. ასეთი შემთხვევები უნდა მოთავსდეს სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა პაქტის მე-5 მუხლისა და ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-17 მუხლით გათვალისწინებულ სფეროში და, შესაბამისად, ამ ტიპის კონტრ-დემონსტრაციები არ უნდა სარგებლობდეს მშვიდობიანი შეკრების უფლების დაცვის გარანტიით.[71] დასახელებული საერთაშორისო ნორმები ადგენს „უფლებათა მოსპობის" პრინციპის აკრძალვას, რაც გულისხმობს, რომ არ არსებობს სახელმწიფოს, ჯგუფის ან პირის უფლება, ეწეოდეს საქმიანობას ან ჩაიდინოს რაიმე ისეთი მოქმედება, რომლებიც მიმართულია პაქტით/კონვენციით აღიარებული უფლებებისა და თავისუფლებების მოსპობის ან უფრო მეტი მოცულობითი შეზღუდვისაკენ, ვიდრე ეს შესაბამისი პაქტით/კონვენციით არის გათვალისწინებული.[72] გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ კონტრ-დემონსტრაციის უფლების შეზღუდვაზე მსჯელობისას ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ ფაქტზე, არის თუ არა საუბარი სოციალურად გარიყულ ან მოწყვლად ჯგუფებზე.[73] უმცირესობები, ჯგუფები, რომლებიც დისკრიმინაციას განიცდიან ან მოწყვლად მდგომარეობაში იმყოფებიან, განსაკუთრებულად დაცულები უნდა იყვნენ მათგან, ვინც ცდილობს დააშინოს ისინი ან აღკვეთოს ამ ჯგუფების უფლებების განხორციელების შესაძლებლობა.[74]

კონტრ-დემონსტრაციების შეზღუდვის ფორმებთან, ფაქტორებთან და პროპორციულობასთან დაკავშირებით სახელმძღვანელო განმარტებები აქვს გაკეთებული ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს საქმეში Öllinger v. Austria (2006). საქმე ეხებოდა ავსტრიის პარლამენტის მწვანეთა პარტიის წევრისა და მცირერიცხოვანი ჯგუფისთვის კონტრ-დემონსტრაციის ჩატარების აკრძალვას. კონტრ-დემონსტრაცია უნდა ჩატარებულიყო ომის მემორიალთან ტრადიციული რელიგიური შეკრების დროს, მეორე მსოფლიო ომის პერიოდში SS-ის მიერ მოკლული ებრაელების გასახსენებლად.[75]

ეს საქმე განსაკუთრებული მნიშვნელობისაა იმ ფაქტის გამო, რომ სასამართლომ ჩამოაყალიბა რამდენიმე კრიტერიუმი, რომელთა მეშვეობითაც უნდა შეფასდეს კონტრ-დემონსტრაციის შეზღუდვის პროპორციულობის საკითხი. საქმის ფაქტობრივ გარემოებებთან კავშირში სასამართლომ ეს კრიტერიუმები შემდეგნაირად განმარტა: *„პირველი და უმთავრესია, რომ შეკრება უშუალოდ მიმართული არ ყოფილა მომლოცველების რწმენის ან მათი გამოხატვის*

---

[71] OSCE/ODIHR – VENICE COMMISSION GUIDELINES ON FREEDOM OF PEACEFUL ASSEMBLY (2ND EDITION), adopted by the Venice Commission at its 83rd Plenary Session, 2010, p. 59.

[72] სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა პაქტის მე-5 მუხლი; ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-17 მუხლი, ხელმისაწვდომია: https://matsne.gov.ge/ka/document/view/1398335?publication=0; https://matsne.gov.ge/ka/document/view/1208370?publication=0, წვდომის თარიღი: 03.09.2021.

[73] Edison Lanza, Protest and Human Rights: Standards on the rights involved in social protest and the obligations to guide the response of the State, 2019, p. 79.

[74] Ibid, p. 80.

[75] CASE OF ÖLLINGER v. AUSTRIA, JUDGMENT, STRASBOURG, 2006, paragraph 9, ხელმისაწვდომია: https://www.legislationline.org/download/id/4895/file/ECHR_CASE%20OF%20OLLINGER%20v.%20AUSTRIA_2006_en.pdf, წვდომის თარიღი: 03.09.2021.

თავისუფლების წინააღმდეგ. მეტიც, აპლიკანტი ელოდა, რომ შეკრებაზე მონაწილეთა მცირე ჯგუფი მივიდოდა. ისინი იყენებდნენ აზრის გამოხატვის მშვიდობიან და ჩუმ მექანიზმებს, კერძოდ ატარებდნენ გარდაცვლილთა მოსაგონარ მესიჯებს და უარი ჰქონდათ ნათქვამი დამცინავი ბანერების გამოყენებაზე. შესაბამისად, დაგეგმილი შეკრება იმთავითვე გამორიცხავდა მომლოცველთა რწმენის დამცირებას. გარდა ამისა, ხელისუფლების წარმომადგენლებს ჰქონდათ შიში, რომ წინა წლების მსგავსად ეს შეკრებაც ცხარე კამათში გადაიზრდებოდა, თუმცა, იმ შემთხვევებში ადგილი არ ჰქონია ძალადობრივ ინციდენტებს."[76] შესაბამისად, სასამართლომ დაადგინა, რომ კონტრ-დემონსტრაციის შეზღუდვის ფორმები და პროპორციულობა უნდა დაეფუძნოს ისეთ ფაქტორებს, როგორებიცაა: არის თუ არა დროისა და ადგილის დამთხვევა კონტრ-დემონსტრანტების იდეების გაჟღერების აუცილებელი და არსებითი კომპონენტი; ეხება თუ არა კონტრ-დემონსტრაცია აზრის გამოხატვას საჯარო ინტერესის სფეროს მიკუთვნებულ საკითხებზე; კონტრ-დემონსტრაციის მასშტაბი; აქვთ თუ არა კონტრ-დემონსტრანტებს მშვიდობიანი განზრახვები; და პროტესტის დაგეგმილი ფორმა.[77]

შეჯამება

თბილისში, 5 ივლისს გამართული ძალადობრივი, ულტრამემარჯვენე ჯგუფების კონტრ-აქციამ „ღირსების მარშის" ჩატარება შეუძლებელი გახადა. სახელმწიფომ ვერ შეძლო მშვიდობიანი მანიფესტაციის ჩატარების უზრუნველყოფა და იმგვარი გარემოს შექმნა, სადაც ადამიანებს არ ექნებოდათ ფიზიკური ძალადობის შიში. 5 ივლისის მოვლენების დროს, სახელმწიფოს რეაგირება როგორც ძალადობის პრევენციის, ისე მასზე რეაგირების ნაწილში არაერთი მიმართულებით იყო პრობლემური:

1. 5 ივლისამდე კონტრ-აქციის ორგანიზატორებისა და მხარდამჭერების განცხადებები ხელისუფლებისთვის განგაშის სიგნალი უნდა ყოფილიყო. მედია-საშუალებებით რამდენიმე დღით ადრე ვრცელდებოდა როგორც საერო, ასევე სასულიერო პირების განცხადებები და დეტალური გეგმები ღირსების მარშის ჩაშლისა და ძალადობის გამოყენების თაობაზე. კონტრ-დემონსტრაციის ორგანიზატორები იყენებდნენ ჰომოფობიურ, სიძულვილისა და ღირსების შემლახავ ლექსიკას[78] და უკვე 4 ივლისს, რუსთაველის მეტროს მიმდებარე ტერიტორიაზე გაშლილი ჰქონდათ კარვები მომდევნო დღეს განსახორციელებელი ქმედებების დასაგეგმად.[79] ამავე დღეს ჟღერდებოდა სიცოცხლის ხელყოფის მუქარაც.[80] ულტრამემარჯვენე ჯგუფების მიერ

---

[76] Ibid, paragraph 47.

[77] OSCE/ODIHR – VENICE COMMISSION GUIDELINES ON FREEDOM OF PEACEFUL ASSEMBLY (2ND EDITION), adopted by the Venice Commission at its 83rd Plenary Session, 2010, p. 58.

[78] დეტალურად იხ.: https://www.radiotavisupleba.ge/a/31334344.html, წვდომის თარიღი: 03.09.2021.

[79] შეიძლება იყოს მსხვერპლი, კიდევ ერთხელ ვაანონსებ - გურამ ფალავანდიშვილის მორიგი მუქარის შემცველი განცხადება, ხელმისაწვდომია: https://rustavi2.ge/ka/news/203650, წვდომის თარიღი: 03.09.2021.

[80] იქვე.

დაანონსებული აქციის ფორმაც და განზრახვებიც დასაწყისიდანვე არ ყოფილა ‘მშვიდობიანად’ სახელდებული, შეიცავდა ძალადობის გამოყენების და მისი წახალისების აშკარა ელემენტებს და საფრთხეს უქმნიდა არა მხოლოდ სხვათა შეკრების უფლების რეალიზებას, არამედ მათი სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და ღირსების უფლებას. ამასთანავე, წარსული წლების გამოცდილება დამატებით ამძაფრებდა იმ განცდას, რომ კონტრ-დემონსტრანტები ნებისმიერი შესაძლო გზით აღკვეთავდნენ ღირსების მარშს;

2. ხელისუფლებას უკვე გაცხადებული ინფორმაციების საფუძველზევე შეეძლო დასკვნის გამოტანა, რომ კონტრ-აქციის მონაწილეების მიზანს არა უბრალოდ განსხვავებული შეხედულებებისა და აზრების დაფიქსირება, არამედ ძალადობის გამოყენებით ან მისი მუქარით სხვების გამოხატვის თავისუფლების აღკვეთა წარმოადგენდა. შესაბამისად, დაგეგმილი კონტრ-აქცია იმთავითვე ‘ძალადობრივად’ უნდა შეფასებულიყო, რაც წარმოშობდა სახელმწიფოს მხრიდან ქმედითი პრევენციული ზომების განხორციელების და მისი დაგეგმილი ფორმითა და შინაარსით აკრძალვის ვალდებულებას. ნიშანდობლივია, რომ ამ ფონზე, როგორც თავად შსს-ის განცხადებიდან ირკვევა, სახელმწიფო არა კონტრ-აქციის, არამედ ღირსების მარშის ორგანიზატორებს სთხოვდა აქციის ლოკაციის ცვლილებას (ეს კი პრინციპულად არასწორი დაშვებაა). წარსული წლების გამოცდილებასა და კონტრ-აქციის მოსალოდნელ მასშტაბზე აპელირებას შსს მშვიდობიანი დემონსტრაციის დაცვისა და ძალადობრივი კონტრ-აქციის შეზღუდვის აუცილებლობის წინაშე უნდა დაეყენებინა. რეალურად კი, შსს-მ ამ საკითხებზე აპელირება, მიზანმიმართულად მცდარად, ღირსების მარშის ჩაუტარებლობის გამამართლებელ საფუძვლად გამოიყენა. ეს მიდგომები უხეშად ეწინააღმდეგებოდა როგორც საერთაშორისო სამართლებრივად აღიარებულ „უფლებათა მოსპობის“ პრინციპის აკრძალვის დაცვას, ასევე სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილ სტანდარტებს, რომელიც სახელმწიფოს აკისრებს პირდაპირ პოზიტიურ ვალდებულებას, დაიცვას აქციის მონაწილეები ძალადობრივი ჯგუფებისგან და უზრუნველყოს მათი შეკრებისა და გამოხატვის უფლების რეალიზაცია უსაფრთხო პირობებში;
3. მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენდა მმართველი პოლიტიკური პარტიის წევრების განცხადებები, მათ შორის, პრემიერ-მინისტრის, თბილისის მერისა და „ქართული ოცნების“ თავმჯდომარის. მათი შეფასებები, გარდა იმისა, რომ შეიცავდა სამოქალაქო დაპირისპირების დაშვების რისკებს, უშუალოდ ეწინააღმდეგებოდა ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციებს და ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს მიერ დადგენილ სტანდარტს, რომელიც მოუწოდებს პოლიტიკური ხელისუფლების წარმომადგენლებს, პირდაპირ ან ირიბად ხელი არ შეუწყონ ლგბტქ+ ადამიანების გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვისკენ მიმართულ ქმედებებს და არ გამოიყენონ დისკრიმინაციული და ღირსების შემლახავი ლექსიკა;
4. როგორც გამოჩნდა, კონტრ-აქციის მონაწილეებისგან მოსალოდნელი ძალადობის პრევენციისთვის სახელმწიფო მხოლოდ საპოლიციო რესურსს დაეყრდნო. ამასთან, 5 ივლისს უკვე ცხადი გახდა, რომ ეს რესურსი არასაკმარისი იყო სისტემური და განგრძობადი ძალადობრივი აქტების აღსაკვეთად. მართალია, შსს-ის განცხადებით,

სხვადასხვა ლოკაციაზე მსხვილი საპოლიციო რესურსი იყო მობილიზებული, თუმცა დღემდე სათანადოდ არ არის დასაბუთებული მთლიანობაში რა რაოდენობის სამართალდამცავის გამოყვანა შეეძლო სახელმწიფოს ძალადობის თავიდან ასაცილებლად, იყო თუ არა მობილიზებული ყველა საჭირო ქვედანაყოფი, მოხდა თუ არა რესურსების გადანაწილება სათანადო პრიორიტეტიზაციის საფუძველზე და ა.შ. (საინტერესოა, რომ ანალოგიურ შემთხვევაში, საქმეში „იდენტობა და სხვები საქართველოს წინააღმდეგ“, სტრასბურგის სასამართლომ აღნიშნა: *„ლგბტ პროცესიის შედეგიდან ცხადი იყო, რომ დემონსტრაციის ადგილას განთავსებული საპატრულო პოლიციელების რიცხვი არასაკმარისი იყო. ქუჩის შეტაკებების მოსალოდნელობის გათვალისწინებით, შიდასახელმწიფო სახელისუფლებო ორგანოების მხრიდან წინდახედული იქნებოდა მხოლოდ ისეთი ქმედება, როდესაც უზრუნველყოფილი იქნებოდა უფრო მეტი პირადი შემადგენლობა, მაგალითად, პოლიციის სპეციალური დანიშნულების რაზმის მობილიზებით.“*[81]);

5. რუსთაველის გამზირზე არსებული საპოლიციო რესურსის მობილიზაცია არ ქმნიდა იმის შთაბეჭდილებას, რომ სახელმწიფოს დასაწყისიდანვე განზრახული ჰქონდა, უზრუნველეყო ღირსების მარშის ჩატარება და მონაწილეთა უსაფრთხოების დაცვა. ამას ადასტურებს შსს-ის განცხადებაც, რომ *„ვინაიდან აღნიშნულ ტერიტორიაზე იკრიბებოდნენ მხოლოდ მარშის გამართვის მოწინააღმდეგე ჯგუფები, პოლიციის სპეციალური კორდონების განლაგების აუცილებლობა არ არსებობდა.“* სახელმწიფოს რიტორიკისა და მოქმედებების ადრესატებს წარმოადგენდნენ პრაიდის ორგანიზატორები, რომლებსაც ღირსების მარშის გამართვისგან თავის შეკავებისკენ მოუწოდებდნენ. შეიქმნა ხელოვნური შთაბეჭდილება, რომ მარშის ჩატარება ობიექტურად შეუძლებელი იყო. ამდენად, სახელმწიფომ არ შეასრულა საერთაშორისო სტანდარტებითა და სტრასბურგის სასამართლო გადაწყვეტილებებით დადგენილი ვალდებულება, რომ დაიცვას უმრავლესობის აზრისგან განსხვავებული და არაპოპულარული იდეების გამჟღერებელი ჯგუფების გამოხატვის თავისუფლება და ხელი არ შეუწყოს მათ ვიქტიმიზაციას;
6. პრობლემური იყო შსს-ის განმარტებაც იმის თაობაზე, რომ ჟურნალისტებისა და რიგითი გამვლელების მიმართ კონტრ-აქციის მონაწილეების ძალადობრივი ქცევა მოულოდნელი იყო, რამაც შეუძლებელი გახადა ძალადობრივი აქტების თავიდან აცილება. როგორც აქციის დაწყებამდე გაკეთებული განცხადებები, ასევე უშუალოდ აქციაზე გაჟღერებული აშკარა და ხილვადი მოწოდებები და კონტრ-აქციის მონაწილეთა სხვადასხვა ჯგუფის განსხვავებულ ლოკაციაზე გადანაწილება, სახელმწიფოსთვის უნდა გამხდარიყო აქტიური მოქმედებების განხორციელების წინაპირობა.
7. მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს ისიც, რომ ძალადობის ორგანიზატორების და დამგეგმავების მიმართ ქმედითი სამართლებრივი ღონისძიებები დღემდე არ განხორციელებულა. ეს მით უფრო საგანგაშოა იმ ფონზე, როცა საზოგადოებრივი

[81] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო მეოთხე სექცია, საქმე „იდენტობა და სხვები საქართველოს წინააღმდეგ”, 2015, 99-ე პარაგრაფი.

დაპირისპირების ამგვარი პრობლემური გამოცდილებები არ არის ახალი და ულტრამემარჯვენე ჯგუფები წლების განმავლობაში დაკავებულები არიან ლგბტქ+ ადამიანების დევნის, მათი გამოხატვის და ღირსების უფლების ხელყოფით.[82] 5-6 ივლისის მოვლენები კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ სახელმწიფო, გარკვეული პოლიტიკური პრეფერენციებიდან გამომდინარე, მოწოდებულია შეიწყნაროს და დაუშვას ძალადობრივი ჯგუფების ლიდერების მოქმედებები. ნიშანდობლივია, რომ „თბილისი პრაიდის" წევრებისა და მათი მხარდამჭერების შეკრებისა და მანიფესტაციის თავისუფლების ხელყოფის უკვე დამდგარი ფაქტის მიუხედავად, დღემდე არ დაწყებულა გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 161-ე მუხლის საფუძველზე;

8. განსაკუთრებით პრობლემურია ის ფაქტი, რომ აღნიშნულ მოვლენებზე არაეფექტიანი და უმოქმედო აღმოჩნდა საქართველოს პარლამენტი. საკანონმდებლო ორგანომ არ გამოიყენა მის ხელთ არსებული მექანიზმები, რათა ინკლუზიურ და ღია ფორმატში შეეფასებინა შინაგან საქმეთა სამინისტროს და კონკრეტულად მინისტრის ქმედებები, გატარებული ზომების ადეკვატურობა და ეფექტიანობა.

ზემოაღნიშნული გარემოებების საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ 5 ივლისის მოვლენები სახელმწიფოს ფუნქციური ჩამოშლის მძიმე და ტრაგიკულ სურათს წარმოადგენდა. პოლიტიკური ხელისუფლება არ აღმოჩნდა მშვიდობიანი გამოხატვის, ადამიანის ღირსების, ჯანმრთელობისა და სიცოცხლის დაცვის უფლების დაცვის მხარეს. მეტიც, მან დაუშვა და ირიბად წაახალისა ძალადობრივი მოქმედებები. აღნიშნულის ფონზე, კიდევ უფრო მძიმე სურათს ქმნის ის ფაქტი, რომ ძალადობის ორგანიზატორების სამართლებრივი და ხელისუფლების წარმომადგენლების პოლიტიკური პასუხისმგებლობა დღემდე არ დამდგარა.

2013 წლის 17 მაისის მძიმე გამოცდილების მიუხედავად, ჩვენ ვერ დავინახეთ, რომ ხელისუფლება სათანადოდ იაზრებს ჰომოფობიის მძიმე პოლიტიკურ და სოციალურ შედეგებს და მისი დაძლევისთვის სისტემურ ნაბიჯებს დგამს. ამის საპირისპიროდ, აშკარაა, რომ ხელისუფლება უკვე წლებია ვერ უზრუნველყოფს ლგბტქ+ ადამიანების შეკრების თავისუფლების დაცვას და ღიად ახდენს ქვიარებისა და მათი უფლებების უგულებელყოფას. 2012 და 2013 წლებში, ჰომოფობიისა და ტრანსფობიის წინააღმდეგ საერთაშორისო დღეს, ლგბტქ+ ადამიანების მშვიდობიანი მანიფესტაციის დარბევა სახელმწიფოს მხრიდან რეაგირების გარეშე დარჩა. ასევე არ მომხდარა რეაგირება 2019 წელს, ულტრამემარჯვენე ჯგუფების მხრიდან განხორციელებულ ძალადობაზე, ძალადობისკენ მოწოდებასა და მუქარაზე. ნათელია, რომ მსგავსი პოლიტიკა საზოგადოებაში დაუსჯელობის განცდას აჩენს და ახალისებს ჰომოფობიურ დანაშაულებს. ამის საპირისპიროდ, მმართველი პოლიტიკური გუნდის წევრები ხშირად ახდენდნენ ჰომოფობიის პოლიტიკურ ინსტრუმენტალიზებას და ქვიარ ადამიანების უფლებების აშკარა იგნორირებას, რაც თანასწორობისა და დემოკრატიული პრინციპების ძირგამომთხრელ პრაქტიკას წარმოადგენს.

---

[82] „კოალიცია თანასწორობისთვის" განცხადება 14 და 16 ივნისს განვითარებული მოვლენების შესახებ, ხელმისაწვდომია: http://equalitycoalition.ge/article/38, წვდომის თარიღი: 03.09.2021.